

მწვანე ალტერნატივა

მინერალური რესურსების მოპოვება ზღვის ფსკერზე

კანონმდებლობა და პრაქტიკა
საქართველოში

2020

ანგარიში გამოცემულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“ და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ენერჯეტიკის, წიაღით სარგებლობისა და ტრანსპორტის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებებს.

ავტორი: ქეთი გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, დეკემბერი, 2020

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

This publication is also available in English.



სარჩევი

შესავალი	3
1. მინერალური რესურსების მოპოვება ზღვის ფსკერზე: საკითხის მიმოხილვა	4
2. კონტინენტურ შეღფზე მინერალური რესურსების მოპოვების მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში	10
3. საქართველოს კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის 2009 წელს გაცემული ლიცენზია	15
3.1 ლიცენზირების პროცესი.....	15
3.2 ლიცენზიის მფლობელი კომპანია და კომპანიასთან დაკავშირებული პირები.....	18
3.3 საეჭვო თანხვედრები	22
ბოლოსიტყვაობა.....	25
ბიბლიოგრაფია	26

შესავალი

2018 წლის დასაწყისში, საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებულმა წიაღის ეროვნულმა სააგენტომ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ერგბ) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, დაიწყო საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება. ეს პროცესი თითქმის ორი წელი გაგრძელდა და საბოლოოდ, 2019 წლის დეკემბერში, პარლამენტის მიერ პოლიტიკის დოკუმენტის მიღების ნაცვლად, საქართველოს მთავრობის მიერ წიაღის სექტორის სტრატეგიის მიღებით დასრულდა¹. დოკუმენტის შემუშავების პროცესი გამოირჩეოდა გაუმჭვირვალობით²; მთავრობის მიერ მის დამტკიცებამდე, სტრატეგია არ ყოფილა საჯარო დისკუსიის საგანი და ამდენად, მასში ასახული პრიორიტეტული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები არ იყო დადგენილი საზოგადოების მონაწილეობით და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით.

წიაღის სექტორის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში სააგენტოს დასახმარებლად, ერგბ-მ საკონსულტაციო კომპანია Adam Smith International-ი დაიქირავა. კომპანიამ მოამზადა საბაზისო დოკუმენტები, სადაც აღწერილია საქართველოს წიაღის სექტორში ამა თუ იმ მიმართულებით არსებული ვითარება და შემოთავაზებულია სახელმწიფო პოლიტიკის არსი. საქართველოში ღრმა ზღვის ფსკერზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, ამ დოკუმენტებში, სულ სამიოდე წინადადებაა მოცემული. კონსულტანტები აღნიშნავენ, რომ ღრმა ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვება „არ წარმოადგენს საქართველოს სამთო-მოპოვებითი რეჟიმის ნაწილს“, მსოფლიოში კი „წყალქვეშა საბადოების პოტენციური რისკები და უპირატესობები ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია“. მიუხედავად ამისა, ისინი სთავაზობენ საქართველოს მთავრობას, დროულად განსაზღვროს ამ სფეროში პრიორიტეტები და საკითხისადმი მიდგომა. კონსულტანტები იქვე ამატებენ, რომ ზოგი ქვეყანა აწესებს მორატორიუმს ღრმა ზღვის ფსკერზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, მანამ სანამ არ იარსებებს დამატებითი კვლევები.

კონსულტანტების ზემოაღნიშნული შეთავაზების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ წიაღის სექტორის სტრატეგიაში, პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის, აღმოჩნდა **სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ღრმა ზღვის ფსკერზე**. სტრატეგიის თანახმად, საქართველოს მთავრობის ამოცანაა, გააუმჯობესოს ლიცენზირების პროცესი; ეს ამოცანა კი, სხვა ღონისძიებებს შორის, მოიცავს: „საერთაშორისო სპეციალისტებთან ერთად (International Seabed Authority) კონსულტაციების გამართვას და სათანადო რეკომენდაციების მიღებას საქართველოში ღრმა ზღვის ფსკერზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის მიმართულებით. ღრმა ზღვის ფსკერზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის გარეშე, წიაღით სარგებლობის უფლების მინიჭების შეზღუდვას.“

¹ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 9 დეკემბრის #2575 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგია“ ხელმისაწვდომია წიაღის ეროვნული სააგენტოს [ვებ-გვერდზე](#) და საქართველოს მთავრობის [ვებ-გვერდზე](#).

² დოკუმენტის შემუშავების პროცესზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: “საქართველოში წიაღის სექტორის განვითარების დაგეგმვის ლაბორინტები”, მწვანე ალტერნატივა, 2020 წ. აგვისტო. ხელმისაწვდომია ორგანიზაციის [ვებ-გვერდზე](#).

ამგვარად, მთავრობის მიერ დამტკიცებულ წიაღის სექტორის სტრატეგიაში ამ პრიორიტეტული ღონისძიების არსებობის გამო, უახლოეს წლებში უნდა ველოდეთ, რომ ჩატარდება შავი ზღვის ფსკერზე, საქართველოს კონტინენტურ შელფზე, მინერალური რესურსების მოპოვების შესაძლებლობის კვლევები და ასევე, მიიღება გადაწყვეტილებები კონტინენტურ შელფზე მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზირების შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერგბ-ს დაქირავებული კონსულტანტების თანახმად, ღრმა ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვება „არ წარმოადგენს საქართველოს სამთო-მოპოვებითი რეჟიმის ნაწილს“. სინამდვილეში, საქართველოს წიაღით სარგებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, 2009 წელს, სწორედ კონტინენტურ შელფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საკითხების დარეგულირებისთვის შეიცვალა; ამავ წელს, ასევე, გაიცა, ამ დრომდე, ერთადერთი ლიცენზია კონტინენტურ შელფზე მინერალური რესურსების მოპოვებისთვის.

წიაღის სექტორის სტრატეგიაში დასახული მიზნებისა და კონტინენტურ შელფზე მინერალური რესურსების მოპოვების სფეროში მოსალოდნელი სიახლეების გამო, გადაწყვეტეთ, შეგვესწავლა ამ სფეროში 2009 წლიდან მოქმედი კანონმდებლობა და ასევე, ერთადერთი ლიცენზიის გაცემისთვის წარმოებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები. ეს ანგარიში, სწორედ, ამ კვლევის შედეგებს ასახავს.

ანგარიშის პირველ თავში მიმოხილულია ღრმა ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვების სფეროში მსოფლიოში არსებული მდგომარეობა. მეორე თავში აღწერილია, როგორ ვითარდებოდა კონტინენტურ შელფზე მინერალური რესურსების მოპოვების მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში. მომდევნო თავი ეძღვნება კონტინენტურ შელფზე მინერალური რესურსების მოსაპოვებლად ლიცენზიის გაცემის ერთადერთ შემთხვევას; ანგარიშის ბოლოს კი, აღწერილია კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემაჯამებელი ანალიზის შედეგად გამოვლენილი საეჭვო გარემოებები.

1. მინერალური რესურსების მოპოვება ზღვის ფსკერზე: საკითხის მიმოხილვა

ზღვის/ოკეანის ფსკერზე მინერალური რესურსების მარაგების მოძიებასა და კომერციულ მოპოვებაზე დებატები 1960-იან წლებში დაიწყო. მოპოვების ტექნოლოგიებთან, ღირებულებასთან, გარემოზე ზეგავლენასა და მოპოვების სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გამო, ამ სფეროში წინსვლა მცირე იყო.

საკითხზე დისკუსიები გამძაფრდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. ამას ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა, მათ შორის: ტექნოლოგიების განვითარებამ, რამაც შესწავლისთვის ხელმისაწვდომი გახდა უწინ მიუწვდომელი ადგილები; ელექტრონული და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების (მათ შორის, ელექტრომობილების, მზის პანელების) ყოფაცხოვრებაში გამოყენების ზრდამ, რასაც მოჰყვა მოთხოვნის ზრდა გარკვეულ მინერალურ რესურსებზე და ზოგ რესურსზე - ლეფციტის შექმნა. საკითხისადმი ინტერესის

ზრდის პარალელურად, დაიწყო მსჯელობა იმაზეც, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვებას, გარემოზე, მოსახლეობასა და ეკონომიკაზე ზეგავლენის თვალსაზრისით.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაცია Greenpeace-ი, ბრიტანეთის მთავრობიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თავის 2019 წლის პუბლიკაციაში³ აცხადებს, რომ მომპოვებელი კომპანიების მტკიცებით, დღეს მრეწველობის ამ დარგის განვითარებას, ყველაზე ძლიერ, გარემოსდაცვითი მოსაზრებები და გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის შესაძლო შედეგები აფერხებს. მართლაც, დღეს არსებობს არაერთი კვლევა, რომელთა თანახმად, ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების ინდუსტრიული მოპოვება ზეგავლენას მოახდენს როგორც ოკეანეებისა და ზღვების უნიკალურ მაცხოვრებლებზე და ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელ წყალქვეშა სამყაროზე, არამედ კლიმატის ცვლილებაზეც.

○ რას და როგორ მოიპოვებენ ზღვის ფსკერზე?⁴

დღეს, მსოფლიოში, ძირითადად, განიხილავენ ზღვის ფსკერზე სამი სახის წიაღისეულის მოპოვების პერსპექტივას; ესენია:

- პოლიმეტალური სულფიდები - სპილენძის, ოქროს, ვერცხლის, თუთიის შემცველობით;
- პოლიმეტალური კონკრეციები - მანგანუმის, კობალტის, სპილენძის, ნიკელის, მოლიბდენისა და იშვიათი ლითონების შემცველობით;
- კობალტით მდიდარი დედამიწის ქერქი - მანგანუმის, კობალტის, ნიკელის, სპილენძის, პლატინის ჯგუფის ლითონების შემცველობით.

ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვების საწყისი ეტაპია შესწავლა, გამოკვლევა. როგორც წესი, გამოკვლევის ეტაპი მოიცავს საკვლევი მოწყობილობების განთავსებას, სინჯების აღებას, ბურღვას და სხვადასხვა კვლევითი ტექნიკის (მაგ., ექოლოტის და ჰიდროლოკატორის) გამოყენებას. ამ ეტაპის მიზანია, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დადგინდეს მოპოვებითი პროექტის განხორციელებადობა.

შემდეგი ეტაპია უშუალოდ მოპოვება. ამ ეტაპზე, სპეციალური დანადგარებით, გროვდება ზღვის ფსკერზე განლაგებული კონკრეციები, ან სულფიდებისა და ქერქის ამოსაღებად ამოითხრება ფსკერი. ამის შემდეგ, კვლავ სპეციალური ტექნიკის საშუალებით, მოპოვებული მასა ამოიზიდება ფსკერიდან ზღვის ზედაპირზე და განთავსდება ხომალდზე ან პლატფორმაზე; აქ ხდება ამოტანილი მასის წყლისგან დაცლა და ტრანსპორტირება ხმელეთზე. ხმელეთზე მოხვედრის შემდეგ, ფსკერზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გადის გადამუშავების ისეთივე გზას, როგორსაც „ტრადიციული“, ხმელეთზე მოპოვებული.

³ Casson L., 2019. [In deep water: The emerging threat of deep sea mining](#). Other contributors: Losada S., Tsenikli S, Santillo D., Currie D., Sharma G. and McCallum W. Greenpeace International, 2019.

⁴ Ecorys, 2014. *Study to investigate the state of knowledge of deep-sea mining: Final Report under FWC MARE/2012/06 – SC E1/2013/04*. Other contributors: MRAG Ltd, GRID Arendal, GEOMAR, TU Delft, Seascope Consultants Ltd, Deep Seas Environmental Solutions Ltd. & the National Oceanography Centre in Southampton. European Commission - DG Maritime Affairs and Fisheries.

○ ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვების ზეგავლენა გარემოზე

კვლევების თანახმად,⁵ ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვების გარემოზე ზეგავლენის ხასიათი განსხვავებულია და დამოკიდებულია წიაღის სახეობაზე, გეომორფოლოგიურ აგებულებაზე, ფიზიკურ პირობებზე, წარმოების მასშტაბსა და მოპოვების ტექნოლოგიაზე. მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია, შესაძლო ტიპური ზეგავლენის სახეებისა და მათი წყაროების იდენტიფიცირება.

სამივე სახის წიაღისეულის მოპოვების გარემოზე შესაძლო ზეგავლენის სახეები^{6,7}:

- მოპოვებულ სუბსტრატზე მცხოვრები ფაუნის კარგვა;
- ფსკერის ზედაპირის, სუბსტრატის ამოღება და შესაბამისად, ფსკერის ჰაბიტატების კარგვა;
- ჰაბიტატების ფრაგმენტაცია;
- ფსკერის ჰაბიტატების ცვლილება (მაგ., გეოქიმიის ცვლილება);
- მოპოვებისას წარმოქმნილი ნაკადების (operational plume) შედეგად, ხელახალი სელიმენტაცია;
- მცურავი ობიექტებიდან გამონამუშევარი წყლების ჩაშვებით წარმოქმნილი ნაკადების (discharge plume) ზეგავლენა პელაგიურ ან/და ბენტოსურ ფაუნაზე;
- ქიმიური ნივთიერებებით წყლის დაბინძურება;
- ხმაურითა და სინათლით დაბინძურება.

ეს შედეგები მოჰყვება:

- მინერალური რესურსების მოპოვებით სამუშაოებს;
- ნალექების გავრცელებას - რაც განსხვავდება მოპოვების სიღრმის, ტექნოლოგიის, დინებისა და მოპოვებული წიაღისეულის სახის მიხედვით;
- მცურავი ობიექტებიდან წყლის დამბინძურებლების ჩაშვებას;
- მცურავი ობიექტებიდან და წყალქვეშა სამუშაოებიდან ხმაურით და სინათლით დაბინძურებას;
- წარმოების კულების განთავსებას.

ამ დროისთვის დაგროვილი ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე, კვლევითი ორგანიზაციები ასკვნიან, რომ მოპოვებითი სამუშაოების უშუალო ზეგავლენის ქვეშ

⁵ The MIDAS Consortium, 2019. Implications of MIDAS results for policy makers: Recommendations for future regulations. MIDAS project (Managing Impacts of Deep Sea Resource Exploitation). www.eu-midas.net

⁶ Casson L., 2019. [In deep water: The emerging threat of deep sea mining](#). Other contributors: Losada S., Tsenikli S, Santillo D., Currie D., Sharma G. and McCallum W. Greenpeace International, 2019.

⁷ The MIDAS Consortium, 2019. Implications of MIDAS results for policy makers: Recommendations for future regulations. MIDAS project (Managing Impacts of Deep Sea Resource Exploitation). www.eu-midas.net

მოქცეული ფართობები, ზღვის ფსკერი, საერთოდ ვერ აღდგება ან ძალზე დიდი დრო დასჭირდება იმისათვის, რომ აღდგეს საწყისთან მიახლოებულ მდგომარეობამდე⁸.

○ ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვების რეგულირება⁹

ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვებისთვის სამართლებრივ ჩარჩოს საერთაშორისო სამართლის აქტები და ქვეყნების კანონმდებლობები ქმნიან. საერთაშორისო დონეზე ამ სფეროში უმთავრესად აქტად განიხილება გაერო-ს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენცია (United Nations Convention on the Law of the Sea, UNCLOS)¹⁰. კონვენცია გამოყოფს ორი სახის საზღვაო ზონებს:

- **ზღვისპირა სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ მყოფ ზონებს** - შიდა და არქიპელაგიურ წყლებს, ტერიტორიულ წყლებს, ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონას და კონტინენტურ შელფს; და
- **„არეალებს“ სახელმწიფოების იურისდიქციის მიღმა** - ღია ზღვას და ზღვის ფსკერს ზღვისპირა სახელმწიფოების კონტინენტური შელფის მიღმა.

„არეალები“ ითვლება კაცობრიობის საკუთრებად და ამ სივრცეებში მინერალური რესურსების მოპოვების რეგულირებაზე პასუხისმგებელია **ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანო** (International Seabed Authority, შემდგომში - ISA). ISA-ს წევრია მსოფლიოს 167 ქვეყანა (მათ შორის, საქართველო) და ევროკავშირი. დღეისათვის ISA-ს შემუშავებული და მიღებული აქვს რეგულაცია ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების დაზვერვითი სამუშაოებისთვის. შემუშავების პროცესშია რეგულაციები მოპოვებითი სამუშაოებისთვის.

ზღვისპირა სახელმწიფოებს შეუძლიათ, მიიღონ თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ საზღვაო ზონებში მინერალური რესურსების მოპოვების მარეგულირებელი, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა. მართალია, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც „არეალების“ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტი, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ სახელმწიფოები, მაგრამ ისინი შებოჭილი არიან სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებით (მაგალითად, „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციით და ლონდონის კონვენციით „ნარჩენების გადაყრით ზღვის დაბინძურებისა და სხვა საკითხების შესახებ“), რომელთაც უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კანონმდებლობები.

ევროკავშირში, მაგალითად, არ არსებობს სპეციფიური გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვების სფეროში (მაშინ როდესაც ნავთობის და გაზის სფეროში - არსებობს), მაგრამ ამ საქმიანობაზე შეიძლება გავრცელდეს ევროკავშირის არაერთი გარემოსდაცვითი დირექტივის მოთხოვნები. მაგალითად: ევროკავშირის კანონმდებლობით, ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვებასთან

⁸ იქვე.

⁹ Ecorys, 2014. *Study to investigate the state of knowledge of deep-sea mining: Final Report under FWC MARE/2012/06 – SC E1/2013/04*. Other contributors: MRAG Ltd, GRID Arendal, GEOMAR, TU Delft, Seascope Consultants Ltd, Deep Seas Environmental Solutions Ltd. & the National Oceanography Centre in Southampton. European Commission - DG Maritime Affairs and Fisheries.

¹⁰ საქართველო კონვენციას შეუერთდა 1996 წლის 21 მარტს.

დაკავშირებულ გეგმებსა და პროგრამებს უნდა ჩაუტარდეთ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება; ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვების პროექტებზე ვრცელდება, ასევე, გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ დირექტივა და ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი დირექტივები. ზოგადად, ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, სხვა პრინციპებს შორის, ეფუძნება სიფრთხილის პრინციპს; ამდენად, თუ საქმიანობამ შეიძლება გააუარესოს გარემოს მდგომარეობა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მაგალითად, საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივა, ასევე, ფრინველთა და ჰაბიტატების დირექტივები.

ზოგადად, მსოფლიოში, სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ მყოფ ზონებში მინერალური რესურსების მოპოვების რეგულირებისადმი ყველაზე გავრცელებული მიდგომაა, ხმელეთზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელება ზღვის ფსკერზე რესურსების მოპოვებაზე. ზოგ ქვეყანაში, ხმელეთზე მოპოვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში შეიტანეს ცვლილებები სპეციფიურად ზღვის ფსკერზე მოპოვების შემთხვევებისთვის (როგორც მომდევნო თავში ვნახავთ, საქართველოშიც ეს მიდგომა გამოიყენეს). იშვიათია ცალკე მდგომი, სპეციალური კანონმდებლობის არსებობის შემთხვევები ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვებისთვის (ასეთი კანონმდებლობა აქვს აშშ-ს).

დღეის მდგომარეობით, ISA-ს მიერ გაცემულია 29 ლიცენზია პოლიმეტალური სულფიდების (7 ლიცენზია), პოლიმეტალური კონკრეციებისა (17 ლიცენზია) და კობალტით მდიდარი დედამიწის ქერქის (5 ლიცენზია) მოსაპოვებლად; ყველა ლიცენზია, ჯამში, მოიცავს 1 მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე ფართობის ტერიტორიას ოკეანეების ფსკერზე. მომპოვებელი კორპორაციების ფინანსურ მხარდაჭერებს შორის არიან დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, ბელგია, ინდოეთი, გერმანია და რუსეთი¹¹.

მიუხედავად მზარდი ინტერესისა და გაცემული ლიცენზიებისა, ჯერჯერობით, მსოფლიოში არსად არ დაწყებულა კომერციული მოპოვება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ISA-ს ჯერ კიდევ არ მიუღია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების კოდექსი - აქტი, რომელმაც უნდა განსაზღვროს დაზვერვის, გამოკვლევისა და მოპოვების ეტაპების მოთხოვნები და პროცედურები; არ არის დადგენილი გარემოსდაცვითი მოთხოვნები, ასევე, არ არსებობს შეთანხმება კომპანიების მიერ გადასახდელი მოსაკრებლებისა და გადასახადების შესახებ. ISA 2020 წლის ივლისისთვის გეგმავდა კოდექსის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, თუმცა, ეს, ამ დრომდე, ვერ შეძლო.

ISA-ს დღეს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მისი მანდატი, სტრუქტურა და შესაძლებლობები ვერ უზრუნველყოფს ზღვის უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვას და ოკეანეების შენარჩუნებას მომავალი თაობებისთვის^{12,13}. Greenpeace-ის თანახმად, ISA-ს მიერ გაცემული

¹¹ Casson L., 2019. [In deep water: The emerging threat of deep sea mining](#). Other contributors: Losada S., Tsenikli S, Santillo D., Currie D., Sharma G. and McCallum W. Greenpeace International, 2019.

¹² International Resource Panel (IRP), 2020. Mineral resource governance in the 21st Century: Gearing extractive industries towards sustainable development. United Nations Environment Programme, UNEP.

¹³ Casson L., 2019. [In deep water: The emerging threat of deep sea mining](#). Other contributors: Losada S., Tsenikli S, Santillo D., Currie D., Sharma G. and McCallum W. Greenpeace International, 2019.

სალიცენზიო ფართობები, არაერთ შემთხვევაში, დაემთხვა ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ადგილებს¹⁴ (მაგალითად, ISA-ს მიერ 2017 წელს პოლონეთისთვის მინიჭებული სალიცენზიო ფართობი მდებარეობს შუაატლანტიკური ქედის ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციით აღიარებულია ეკოლოგიური ან ბიოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან არეალად¹⁵). Greenpeace-ის მტკიცებით, ეს საერთაშორისო ორგანიზაცია გადაწყვეტილებების მიღებისას, ყოველთვის ანიჭებს პრიორიტეტს მოპოვებას და არა ზღვის გარემოს დაცვას. Greenpeace-ი, ასევე, ამტკიცებს, რომ კორპორაციები ISA-ს იყენებენ მთავრობებისგან დიპლომატიური მხარდაჭერის მისაღებად და ISA-ს შეხვედრებზე მთავრობების სახელითაც კი გამოდიან. ორგანიზაციის ინფორმაციით, მოპოვების ლიცენზიის მისაღებად ზოგიერთი ქვეყნის მთავრობის მიერ ISA-ში წარდგენილი განცხადებები მომპოვებელი კომპანიების მიერაა მომზადებული და დაფინანსებული.

რაც შეეხება სახელმწიფოების მიერ თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ზონებში (კონტინენტურ შელფზე) მინერალური რესურსების შესწავლა-მოპოვების პროექტებს, ასეთი პროექტები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ხორციელდება, თუმცა, არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო ბაზა და არც ცალკეული პროექტების შესახებ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია¹⁶.

საგულისხმოა, რომ 2018 წელს, ევროპარლამენტმა მიიღო სპეციალური რეზოლუცია ოკეანეების საერთაშორისო მმართველობის შესახებ, 2030 წლისთვის მისაღწევი მდგრადი განვითარების მიზნების კონტექსტში. რეზოლუციაში, ევროპარლამენტი მოუწოდებს ევროკომისიას, დაარწმუნოს წევრი სახელმწიფოები იმაში, რომ აუცილებელია ეროვნული იურისდიქციის მიღმა ტერიტორიებზე მინერალური რესურსების დაზვერვისა და მოპოვების ლიცენზიების სუბსიდირების და ასევე, სახელმწიფოების კონტინენტურ შელფზე მინერალური რესურსების მოპოვების ნებართვების გაცემის შეწყვეტა¹⁷.

¹⁴ Casson L., 2019. [In deep water: The emerging threat of deep sea mining](#). Other contributors: Losada S., Tsenikli S, Santillo D., Currie D., Sharma G. and McCallum W. Greenpeace International, 2019.

¹⁵ International Resource Panel (IRP), 2020. Mineral resource governance in the 21st Century: Gearing extractive industries towards sustainable development. United Nations Environment Programme, UNEP.

¹⁶ Ecorys, 2014. *Study to investigate the state of knowledge of deep-sea mining: Final Report under FWC MARE/2012/06 – SC E1/2013/04*. Other contributors: MRAG Ltd, GRID Arendal, GEOMAR, TU Delft, Seascope Consultants Ltd, Deep Seas Environmental Solutions Ltd. & the National Oceanography Centre in Southampton. European Commission - DG Maritime Affairs and Fisheries.

¹⁷ „...19. Calls on the Commission to encourage Member States to cease subsidising licences for mining prospecting and extraction in areas beyond national jurisdiction and issuing permits for mining of their continental shelves;“. [European Parliament resolution of 16 January 2018 on international ocean governance: an agenda for the future of our oceans in the context of the 2030 SDGs \(2017/2055\(INI\)\)](#)

2. კონტინენტურ შეღფზე მინერალური რესურსების მოპოვების მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში

საქართველოში წიაღის შესახებ კანონმდებლობის ჩამოყალიბება 1996 წელს „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების მიღებით დაიწყო. 2009 წლის სექტემბრამდე წიაღის შესახებ კანონმდებლობა არ მოიცავდა სპეციფიურ ნორმებს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების რეგულირების შესახებ (ეს არ ეხება ნავთობსა და გაზს; ეს სექტორი განსხვავებულად რეგულირდება). ამ საკითხის მარეგულირებელი ნორმები შემოტანილი იქნა 2009 წლის სექტემბერ-ნოემბერში. პროცესი დაიწყო ქვემოთ განხილულ კანონქვემდებარე აქტში ახალი დებულებების დამატებით და დასრულდა ზოგიერთ კანონში ცვლილებების შეტანით. სწორედ, ეს ნორმებია განხილული ამ თავში.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“¹⁸, „წიაღის შესახებ“ კანონთან ერთად, დღეს წიაღის სექტორში მოქმედი ერთ-ერთი უმთავრესი სახელმძღვანელო ნორმატიული აქტია. როგორც დასახელებიდან ჩანს, ეს კანონქვემდებარე აქტი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მსურველმა პირმა კომპეტენტური ორგანოსგან ლიცენზიის მისაღებად, როგორ გაიცემა ლიცენზია და რა პირობებით.

დებულებაში, მისი მიღებიდან დღემდე - 2005-2020 (დეკემბერი) წლებში - 77-ჯერ შევიდა ცვლილება. 2009 წელს მასში სამჯერ შევიდა ცვლილება და ერთ-ერთი - **2009 წლის 18 სექტემბერს შეტანილი ცვლილება** - სწორედ, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, შავი ზღვის კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას ეხება. სანამ 2009 წლის სექტემბერში შემოტანილ ნორმებს ადვწერთ, აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ წიაღით სარგებლობის რეგულირება 2009 წლის სექტემბერში (2011 წლამდე) ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა;¹⁹ ეს სამინისტრო გასცემდა სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზიას.

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებაში 2009 წლის 18 სექტემბერს შეტანილი ცვლილებები თითქმის მთლიანად დაეთმო კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას. კერძოდ, შემოტანილი იქნა შემდეგი სიახლეები:

¹⁸ ხელმისაწვდომია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე. სარეგისტრაციო კოდი: 380.050.000.10.003.000.270

¹⁹ 1996 წლიდან 2008 წლამდე წიაღით სარგებლობის რეგულირება შედიოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენციაში; 2008-დან 2011 წლამდე - ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, 2011-2013 წლებში - ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენციაში. 2013 წელს წიაღით სარგებლობის რეგულირების კომპეტენცია კვლავ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაუბრუნდა, თუმცა, 2017 წლის დეკემბრის ბოლოს საბოლოოდ ჩამოერთვა და გადაეცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ სსიპ-ს წიაღის ეროვნულ სააგენტოს.

- განისაზღვრა ლიცენზიის გამცემი უწყებისთვის წარსადგენი ინფორმაციის სახე ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც პირი დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიულ წყლებში კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით, რომლის მარაგების თაობაზე სახელმწიფოს არ აქვს დასაბუთებული ინფორმაცია. დადგინდა, რომ ლიცენზიის მაძიებელმა, სხვა მონაცემებთან ერთად, ლიცენზიის გამცემ უწყებას უნდა წარუდგინოს ინფორმაცია მოსაპოვებელი რესურსის სავარაუდო სახეობის, სავარაუდო ადგილმდებარეობისა და ლიცენზიის მოქმედების ვადის შესახებ (მე-3 მუხლის 6¹ პუნქტი).
- ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (ამჟამად - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) დაუდგინდა ვალდებულება, ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, ჩართოს დაინტერესებული უწყებები (მე-3 მუხლის 8¹ პუნქტი).
- დადგინდა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აუქციონის გამართვის შესახებ განცხადების გამოქვეყნებამდე, უნდა განისაზღვროს სახელმწიფოსა (ლიცენზიის გამცემს) და ლიცენზიის მფლობელს შორის სასარგებლო წიაღისეულის წილობრივი განაწილების პრინციპები და პირობები. ამ პრინციპებისა და პირობების დადგენა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვალდებულებაა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა იღებს. მთავრობასთან შეთანხმების შემდეგ, ეს პრინციპები და პირობები აისახება აუქციონის შესახებ განცხადებაში. აუქციონში გამარჯვებული ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, რომ დაიცვას სასარგებლო წიაღისეულის წილობრივი განაწილების პრინციპები და პირობები, როგორც სალიცენზიო პირობა (მე-7 მუხლის პირველი პუნქტი).
- ლიცენზიის მფლობელს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყება შეუძლია ორი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში: (ა) მან უნდა ჩაატაროს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ) და მოიპოვოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან (ამჟამად - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან) დადებითი დასკვნა; და (ბ) მარაგების სახელმწიფო უწყებათშორისო კომისიამ უნდა დაამტკიცოს სასარგებლო წიაღისეულის მარაგები (მე-7 მუხლის პირველი პუნქტი). ამასთან, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აუქმებს გაცემულ ლიცენზიას (მე-7⁵ მუხლის მე-5 პუნქტი).

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ 2009 წლის სექტემბერში, გზმ-ს სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, გზმ-ს ჩატარება უკვე აღარ იყო სავალდებულო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტებისთვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში - კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას - გზმ-ს ჩატარების შესახებ ვალდებულების გაჩენა, შავ ზღვის დაცვის შესახებ საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს უკავშირდება.

- კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებელ ლიცენზიანტზე გავრცელდა ლიცენზიების მფლობელებისთვის დაწესებული უფლება - რამდენიმე

ნაწილად დაყოს სარგებლობის ლიცენზია და სარგებლობის უფლება ან მისი ნაწილი იჯარით ან საკუთრებაში გადასცეს სხვა პირს; თუმცა, დაუწესდა ასევე შეზღუდვაც: თუ ჩვეულებრივ, ლიცენზიის მფლობელს უბრალოდ ევალება ლიცენზიის ან მისი ნაწილის გასხვისების შესახებ ლიცენზიის გამცემის ინფორმირება, კონტინენტურ შელფზე სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ ლიცენზიანტს დაევალა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობის მოპოვება, ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე. სამინისტროს თანხმობის მოპოვების გარდა, დაწესდა კიდევ ერთი წინაპირობა: ლიცენზიანტი ვერ მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას მანამ, სანამ არ დამტკიცდება სასარგებლო წიაღისეულის მარაგები (მე-7 მუხლის პირველი პუნქტი).

- როგორც ზემოთ აღინიშნა, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებაში 2009 წლის 18 სექტემბერს შეტანილი ცვლილებები ეხება შემთხვევას, როდესაც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცემა ისეთ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს არ აქვს დასაბუთებული ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფზე სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესახებ. ამდენად, მას შემდეგ, რაც ლიცენზიის მფლობელის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, მარაგების სახელმწიფო უწყებათმორისო კომისია დაამტკიცებს სასარგებლო წიაღისეულის მარაგს, უკვე გაცემულ ლიცენზიაში უნდა შევიდეს ცვლილება და დადგინდეს მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (მე-7¹ მუხლის 1¹ პუნქტი).

საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის 18 სექტემბერს „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებაში ზემოთ აღწერილი ცვლილებების შეტანის შემდეგ, 2009 წლის ნოემბერში, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა სამ საკანონმდებლო აქტში - „**ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ**“ „**საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ**“ და „**წიაღის შესახებ**“ საქართველოს კანონებში.

როგორც ცნობილია, 2005 წელს მიღებული „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი ე.წ. ჩარჩო-კანონია, რომელიც ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, მათი გაცემისა და გაუქმების, ასევე მათში ცვლილებების შეტანის ზოგად წესებს. კანონი განსაზღვრავს სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესებს; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია კი, სარგებლობის ლიცენზიის ერთ-ერთი სახეა.

2009 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტმა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის იმ მუხლში შეიტანა ცვლილებები,²⁰ რომელიც ლიცენზიის მთლიანად ან მისი ნაწილის სხვა პირისათვის გადაცემის შესაძლებლობას ეხება. კერძოდ, კანონში დაკონკრეტდა, რომ „მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით არის შესაძლებელი, საქართველოს შავი ზღვის კონტინენტურ შელფზე რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელმა რამდენიმე ნაწილად დაყოს, იჯარით ან საკუთრებაში გადასცეს სხვა პირს სარგებლობის ლიცენზია და სარგებლობის უფლება ან მისი ნაწილი“. ზემოთ,

²⁰ იხ. „[ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ](#)“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი

კანონქვემდებარე აქტში შეტანილი ცვლილებების განხილვისას უკვე აღინიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, ზემოთ განხილული კანონქვემდებარე აქტი მხოლოდ ლიცენზიის გამცემის თანხმობას ითხოვს. ამგვარად, კანონმა მოითხოვა როგორც ლიცენზიის გამცემის, ისე მთავრობის თანხმობის მიღება ლიცენზიის მთლიანად ან მისი ნაწილის სხვა პირისათვის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

კანონის ინიცირებისას მომზადებული განმარტებითი ბარათიდან ირკვევა ამ ცვლილების მიღების აუცილებლობა; კანონპროექტის ინიციატორები ასე ასაბუთებენ მას: „როდესაც გარკვეული ლიცენზიის გასხვისებამ (გადაცემამ) შესაძლოა სახელმწიფოს მოუტანოს განსაკუთრებული ზიანი“, „სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ შემთხვევებში“, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს „ბერკეტი შეზღუდოს (აკრძალოს) სახელმწიფოსათვის შემდგომში ზიანის მომტანი გარიგება - სარგებლობის ლიცენზიის მესამე პირზე გასხვისება“²¹.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონში ცვლილებასთან ერთად, ინიცირებული და მიღებული იქნა ცვლილება „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ კანონში^{22,23}. კანონმა სხვა რედაქციით ჩამოაყალიბა ერთპუნქტიანი მუხლი (მუხლი 41), რომელიც კონტინენტურ შეღფზე საქმიანობას ეხება. ახალი რედაქციით, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულება, „შესაბამისი ორგანოების თანხმობით“ განახორციელოს „საქართველოს კონტინენტური შეღფის რესურსების მოძიება, დაზვერვა, დამუშავება და გამოყენება, კაბელებისა და მილსადენების გაყვანა და კონტინენტურ შეღფთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა“, გავრცელდა უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიული პირებზეც.

ამ დებულების ავტორები განმარტავენ,²⁴ რომ კანონი არ კრძალავს უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას საქართველოს კონტინენტურ შეღფზე, მაგრამ „გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით“, მოითხოვს, რომ მათი საქმიანობაც შეთანხმებული იყოს შესაბამის ორგანოებთან.

აღწერილი საკანონმდებლო ცვლილებებიდან მოკლე ხანში, 2009 წლის 20 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთ აქტში - „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში - შეიტანა ცვლილებები. ამ ცვლილებებამდე, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ სპეციფიურ ნორმებს კანონი არ მოიცავდა. კანონში, „კონტინენტური შეღფი“ მოხსენიებული იყო მხოლოდ ერთხელ, „წიაღის სახელმწიფო ფონდის“ განმარტებაში („წიაღის სახელმწიფო ფონდს

²¹ საინტერესოა, რომ კანონპროექტის საწყისი, ინიცირებული ვერსია ითვალისწინებდა დამატებული დებულების სხვა რედაქციას. კერძოდ, კანონპროექტი ამბობდა, რომ მთავრობის თანხმობის მიღება საჭირო იყო „განსაკუთრებულ შემთხვევებში“. კანონპროექტის პარლამენტში განხილვისას, დაკონკრეტდა, რომ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევად უნდა იქნეს განხილული კონტინენტურ შეღფზე რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის ან მისი ნაწილის სხვა პირისთვის გადაცემა. იხ. კანონპროექტის (#07-3/182/7) ინიცირებული ვარიანტი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/82200?>

²² იხ. საკანონმდებლო აქტების პროექტების პაკეტი: <https://info.parliament.ge/#law-drafting/9504>

²³ იხ. [საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბერის კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე](#)

²⁴ იხ. „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/109865?>

შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე, მის კონტინენტურ შეღფსა, ტერიტორიულ წყლებში და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღი, მიუხედავად იმისა, ხდებოდა, ხდება, თუ მოხდება წიაღით სარგებლობა.“, მუხლი 3).

2009 წლის ნოემბერში, კანონს დამატა ერთი მუხლი კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ, კონკრეტულად კი, ლიცენზიით რეგულირებულ ურთიერთობათა სტაბილურობაზე.

ე.წ. „სტაბილურობის დებულებები“ (stabilization clauses) როგორც წესი, გამოიყენება საინვესტიციო შეთანხმებებში, როდესაც სახელმწიფოები ცდილობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ამისათვის, ისინი ინვესტორებს მარეგულირებელ გარემოში ცვლილებებისგან დაზღვევას სთავაზობენ - იღებენ ვალდებულებას, რომ ინვესტორებზე არ გავრცელდება შეთანხმების დადების შემდეგ შემოღებული სამართლებრივი ნორმები, თუ ისინი აუარესებენ ინვესტორთა მდგომარეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა ფართო კრიტიკის საგანია (სხვა საკითხებს შორის, ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენის გამო), ის მაინც ხშირად გამოიყენება ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ დადებულ საინვესტიციო შეთანხმებებში. ეს მიდგომა, საქართველომ, „წიაღის შესახებ“ კანონში გაამყარა და გაამართლა იმით, რომ „სტაბილურობის დებულებებს“ უკვე ითვალისწინებდა ნავთობის და გაზის ოპერაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა და მიდგომა უბრალოდ გავრცელდა კონტინენტურ შეღფზე სხვა სახის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე²⁵.

ამგვარად, 2009 წლის ნოემბერში „წიაღის შესახებ“ კანონს დამატებული ახალი ნორმებით (32¹ მუხლი), საქართველოს კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი პირის უფლებების დასაცავად, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ:

- საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, თუ ისინი გააუარესებს საინვესტიციო პირობებს ან/და უარყოფით გავლენას მოახდენს ლიცენზიის მფლობელი პირის ლიცენზიით განსაზღვრულ უფლებებსა და ინტერესებზე, არ შეეხება საქართველოს კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას;
- ანალოგიურად - თუ საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, შეზღუდავს ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ ლიცენზიის შესაბამისად შეძენილ და განხორციელებულ ქონებრივ უფლებებს, ასეთი აქტები არ შეეხება საქართველოს კონტინენტურ შეღფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას.

გარდა ამისა, კანონში ჩაიწერა, რომ სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს არ აქვთ უფლება, ლიცენზიის მფლობელს შეუქმნან რაიმე წინააღმდეგობა სასარგებლო

²⁵ იხ. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი: <https://info.parliament.ge/#law-drafting/9560>

წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით მინიჭებული უფლებების რეალიზაციისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არღვევს საქართველოს კანონმდებლობას ან ლიცენზიის პირობებს.

3. საქართველოს კონტინენტურ შეღოფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის 2009 წელს გაცემული ლიცენზია

3.1 ლიცენზირების პროცესი

როგორც ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, კონტინენტურ შეღოფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის გაცემულია ერთადერთი ლიცენზია 2009 წელს. ამ თავში აღწერილია ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურები და მასში მონაწილე მხარეები. აქ არ არის გაანალიზებული ადმინისტრაციული წარმოებისას გამოცემული აქტები; ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ამ კვლევისთვის მნიშვნელოვან დეტალებზე.

ეს თავი დიდწილად ემყარება, 2009 წლის 14 დეკემბერს სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზიის (#100737) გასაცემად ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების მოთხოვნაზე, წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ საპასუხოდ მოწოდებულ ინფორმაციას²⁶. მწვანე ალტერნატივისთვის წიაღის ეროვნული სააგენტოდან მოწოდებული მასალებიდან ირკვევა შემდეგი (მოვლენები აღწერილია ქრონოლოგიურად):

- 2008 წლის 17 ივლისს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადებით მიმართა კომპანიამ Marine Resources Exploration International B.V. და ითხოვა „შავი ზღვის ფსკერის ზედა ნაღეჩი ქანების შრეებში შემავალი საპროპელიტის შლამის, ლითონის ჰიდროქსიდებისა და სულფიდების მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის დანიშვნა“.
- 2009 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება #799 „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემისთვის აუქციონის სალიცენზიო პირობების შესახებ“. განკარგულებით, მთავრობამ, სხვა სალიცენზიო პირობებთან ერთად:

- დაამტკიცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ წარდგენილი აუქციონის სალიცენზიო პირობები, დაადგინა აუქციონის საწყისი ფასი და ბიჯის ოდენობა. ამ განკარგულებით, ასევე, წინასწარ დადგინდა ჯერ კიდევ გაუყიდველი ლიცენზიის ძალაში შესვლის თარიღი - 2010 წლის 1 იანვარი.

²⁶ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2019 წლის 28 ოქტომბრის #22/534 წერილი; წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2019 წლის 3 დეკემბრის #22/595 წერილი.

- სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულისთვის დაადგინა ლიცენზიის მოქმედების სხვადასხვა ვადა; კერძოდ: ენერგეტიკული დანიშნულების სასარგებლო წიაღისეულისთვის (გარდა ნავთობისა და გაზისა) და შავი და ფერადი ლითონების მადნებისთვის - 30 წელი; სამშენებლო მასალებისა და სხვა არამადნეული წიაღისეულისთვის - კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადა.

- დაადგინა სალიცენზიო ფართობის კოორდინატები და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სიღრმე - ზღვის ფსკერიდან 100 მეტრის სიღრმე.

- გზშ-ს ჩატარების ვალდებულებასთან ერთად (როგორც ეს მოთხოვნილია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილებით), ლიცენზიის მფლობელს დაუდგინა ვალდებულება, ლიცენზიის ძალაში შესვლიდან: (ა) სამი თვის ვადაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარუდგინოს მოპოვების წინარე დაგეგმილი სამუშაოების „ეკოაუდიტორული შეფასება“; და (ბ) 5 წლის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე - ამავე სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესახებ. სამივე შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებული გახდა, სამინისტროსთვის შესატანხმებლად წარედგინა არანაკლებ ხუთი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე, კომპეტენტური ორგანიზაციის სია. ლიცენზიის მფლობელს მიეცა უფლება, სამინისტროსთან შეთანხმებული სულ მცირე სამი ორგანიზაციიდან, აერჩია ერთი. აქვე, სამინისტროს აუკრძალა თანხმობაზე უარის განცხადება „არაგონივრული საფუძვლით“²⁷.

- დაადგინა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შემთხვევაში, სახელმწიფოსა და ლიცენზიის მფლობელს შორის სასარგებლო წიაღისეულის წილობრივი განაწილების სქემა, წილობრივი განაწილების შესახებ შეთანხმების დადების ვადა, სახელმწიფოს მიერ წილის მიღების ფორმები და ვადები.

- დაავალდებულა ლიცენზიის მფლობელი, რომ ენერგეტიკული დანიშნულების სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების სრული ციკლი, ხოლო სხვა სასარგებლო წიაღისეულის - საწყისი გადამუშავება, განახორციელოს საქართველოში.

- დაავალდებულა ლიცენზიის მფლობელი, ზემოაღწერილი წესის მსგავსი წესის გამოყენებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით, შეარჩიოს საერთაშორისო ორგანიზაცია (აუდიტორი), რომელიც მხარეებთან შეთანხმებით, დაადგენს სასარგებლო წიაღისეულის ფასს.

- 2009 წლის 3 ნოემბერს გაზეთში „24 საათი“ გამოქვეყნდა განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის აუქციონის შესახებ.

²⁷ საინტერესოა, რომ როდესაც მოგვიანებით, ლიცენზიის მფლობელმა, ამ ვალდებულებების შესაბამისად, ხუთიდან სამი ორგანიზაციის შერჩევისა და შეთანხმების მიზნით, მართლაც წარუდგინა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სია, სამინისტრომ განაცხადა, რომ ორგანიზაციების შეთანხმება მის კომპეტენციაში არ შედის და ეს თავად ლიცენზიანტმა შეიძლება გააკეთოს (წყარო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის, ვლადიმერ გველაშვილის 2010 წლის 11 თებერვლის წერილი #07-14/462).

- 2009 წლის 9 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება #769 „სასაზღვრო ზოლში გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობის დაშვების შესახებ“. განკარგულებით, საქართველოს პრეზიდენტმა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიანიჭა, „სასაზღვრო ზოლში გარკვეული საქმიანობის განსახორციელებლად“ - სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად, განკარგულებით დადგენილი კოორდინატების ფართობზე, გამოაცხადოს აუქციონი. პრეზიდენტის ამ განკარგულებაში დასახელებულია ზუსტად ის კოორდინატები, რაც მთავრობის მიერ 30 ოქტომბერს მიღებულ ზემოთ განხილულ განკარგულებაში.

პრეზიდენტის მიერ განკარგულების გამოცემის საჭიროება დადგა იმის გამო, რომ საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ კრძალავს სასაზღვრო ზოლში ყოველგვარ საქმიანობას, რომელიც არ არის დაკავშირებული მის მოვლასთან, სასაზღვრო ნიშნების შემოწმებასთან და სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებებთან. თუმცა, კანონი, ამასთანავე, 2009 წელს ანიჭებდა საქართველოს პრეზიდენტს უფლებას, ცალკეულ შემთხვევებში, დაეშვა სასაზღვრო ზოლში გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობა²⁸. ასეთ გამონაკლის შემთხვევებს კანონი დღესაც ითვალისწინებს, ოღონდ გადაწყვეტილების მიმღები დღეს არა პრეზიდენტი, არამედ პრემიერ-მინისტრია.

- 2009 წლის 4 დეკემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩატარდა აუქციონი. აუქციონზე ლიცენზიის საწყის ფასად დადგინდა 2 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ხოლო სავაჭრო ბიჯად - 200 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. აუქციონში მონაწილეობდა ერთი კომპანია - შპს „მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენალ ბ.ვ.“ (Marine Resources Exploration International B.V.) და გამარჯვებულადაც ის გამოცხადდა. ლიცენზია აუქციონზე გაიყიდა 2 მილიონ 200 ათასი აშშ დოლარად.
- 2009 წლის 11 დეკემბერს, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა ბრძანება „შპს „მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენალ ბ.ვ.“-ზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“.

ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანება სიტყვა-სიტყვით იმეორებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 ოქტომბრის #799 განკარგულებით დადგენილ აუქციონის სალიცენზიო პირობებს, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ბრძანებაში სალიცენზიო პირობად დამატებულია ურთიერთობათა სტაბილურობის შესახებ პუნქტი (ამ დროს „წიაღის შესახებ“ კანონში უკვე დამატებული იყო მუხლი ლიცენზიით რეგულირებულ ურთიერთობათა სტაბილურობაზე). ამ ბოლო სალიცენზიო პირობაში (ე.წ. „გაყინვის დებულებაში“, freezing clause) აღნიშნულია, რომ ლიცენზიის მფლობელი, მისი მოქმედების ვადის განმავლობაში, სარგებლობს 2010 წლის 1 იანვრისთვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით და ლიცენზიით რეგულირებულ ურთიერთობათა სტაბილურობით.

²⁸ იხ. საქართველოს 1998 წლის 17 ივლისის კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31966?publication=33>

- 2009 წლის 14 დეკემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გასცა ლიცენზია (სალიცენზიო მოწმობა) #100737 შპს „მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენალ ბ.ვ.“-ზე.

წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ **ლიცენზიის ძალაში შესვლიდან ზუსტად ოთხი წლის შემდეგ, „მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენალ ბ.ვ.“-მ მოითხოვა ლიცენზიის გაუქმება.**

2013 წლის 31 დეკემბერს გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის²⁹ წარდგენილ წერილში³⁰, კომპანიის იურიდიული წარმომადგენელი აღწერს კომპანიის მიერ ამ დრომდე წარმოებულ ძებნა-ძიების სამუშაოებს და ანალიზის შედეგებს. ის აღწერს შავი ზღვის დანალექ ქანებში გავრცელებულ რესურსებს, ყურადღებას ამახვილებს საპრობელის შლამზე და აღნიშნავს, რომ ქანებში განლაგების ხასიათისა და ხარისხის გამო, მისი მოპოვება ეკონომიკურად გამართლებული არ არის. ამდენად, კომპანია ითხოვს ლიცენზიის გაუქმებას.

კომპანიის თხოვნის საპასუხოდ, 2014 წლის 11 თებერვალს, გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გამოსცა ბრძანება #73 „შპს “მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენალ ბ.ვ.”-ზე 14.12.2009 წ. გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #100737 ლიცენზიის გაუქმების შესახებ“.

3.2 ლიცენზიის მფლობელი კომპანია და კომპანიასთან დაკავშირებული პირები

ლიცენზიის გაცემის პროცედურებთან ერთად, საინტერესოა, ასევე, ვინ იყო საქართველოში, კონტინენტურ შეღწეზე მინერალური რესურსების მოპოვების პირველი და ჯერჯერობით, ერთადერთი ლიცენზიის მფლობელი. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გასაცემად წარმოებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში კომპანია თავს მოიხსენიებს შემდეგი სახით:

- Marine Resources Exploration International B.V. - აუქციონის დანიშვნის თხოვნის შესახებ განცხადებაში; ასევე, ლიცენზიის პირობების შესრულების ამსახველ უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმაში;
- „მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენალ ბ.ვ.“ (Marine Resources Exploration International B.V.) - აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადებაში. აქვე, კომპანიის სატიტულო გვერდზე, მითითებულია კომპანიის ორი საფირმო დასახელება MAREXIN და Mining the future.

²⁹ ამ პერიოდისთვის წიაღით სარგებლობის რეგულირება კვლავ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარებულ გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციებში შედიოდა.

³⁰ „მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენალ ბ.ვ.“-ს იურიდიული წარმომადგენლის მელანი ჩენის 2013 წლის 31 დეკემბრის წერილი გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს მალვა ჯავახაძეს თემაზე: 2009 წლის 12 დეკემბერს მიღებული ლიცენზია #100737-ის გაუქმების შესახებ (წერილის გარემოს ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის #4204). არსებობს ანალოგიური შინაარსის, ოღონდ მცირე რედაქციული განსხვავებით, კიდევ ერთი წერილი, რომელიც დათარიღებულია 2014 წლის 31 იანვრით (წერილის გარემოს ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის #445).

კომპანიის საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან კორესპონდენციაში, შესაძლებელია მისი წარმომავლობის და კომპანიასთან დაკავშირებული პირების შესახებ ინფორმაციის მოძიება. კერძოდ:

- კომპანია „მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენალ ბ.ვ.“ არის ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კერძო კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: NL818955648B01.
 - რეგისტრაციის მისამართი: სტრავინსკილაან 3105, ატრიუმ, მე-7 სართული, 1077 ZX ამსტერდამი;
 - სათაო ოფისის მისამართი: კლაასკამპენის ქ. 24, 1251 კპ ქალაქი ლარენი, ნიდერლანდები
 - საფოსტო მისამართი: 155 კალეა ვიქტორიეი, მე-4 სადარბაზო, მე-8 სართული, ბუქარესტი, რუმინეთი.
- საკონტაქტო პირებად სხვადასხვა დოკუმენტში მითითებული არიან: პიტერ ჰამილტონი, დორინ მარიანი, კომპანია „დი-ელ-ეი ჰაიპერ საქართველო“ (აქ საკონტაქტო პირად - ვახტანგ ფარესიშვილი) და ნიკოლოზ საყვარელიძე.

საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (შემდგომში - საჯარო რეესტრი) რეგისტრირებულია Marine Resources Exploration International B.V-სთან დაკავშირებული ორი კომპანია, თითქმის მსგავსი დასახელებებით და განსხვავებული საიდენტიფიკაციო კოდებით. აქედან პირველი დღემდე არსებობს, მეორე კი - ლიკვიდირებულია. ეს კომპანიებია:

- „მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენალ ბ.ვ.“-ს (გპ) საქართველოს ფილიალი:
 - რეგისტრაციის თარიღი: 2010 წ. 15 სექტემბერი;
 - საიდენტიფიკაციო კოდი: 404872358;
 - დამფუძნებელი: შუზლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენალ ბი.ვი., ნიდერლანდები
 - დირექტორები: დაფუძნებიდან 2013 წ. 8 მაისამდე - გიორგი მელიქიძე, 2013 წ. 8 მაისიდან დღემდე - ნიკოლოზ საყვარელიძე.
- შპს „მერაინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენელ“:
 - რეგისტრაციის თარიღი: 2008 წ. 18 აგვისტო;
 - ლიკვიდაციის თარიღი: 2012 წ. 18 იანვარი;
 - საიდენტიფიკაციო კოდი: 205261679
 - მფლობელი: შუზლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მერაინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეშენელ ბ.ვ., საიდენტიფიკაციო კოდი: 34292800
 - ერთპიროვნული ხელმძღვანელი: პეტერ ენტონი ჰამილტონი (2010 წ. მარტი); მელანი ენ ჩენი (2010 წ. სექტემბერი)

ზემოაღნიშნულ კომპანიებთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტებიდან, ლიცენზიის მფლობელი კომპანიის შესახებ შემდეგი რამ ირკვევა:

შპს Marine Resources Exploration International B.V. დაფუძნდა ნიდერლანდებში 2008 წლის 23 იანვარს (ნიდერლანდების სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციის ნომრით: 34292800). დაფუძნებისას, კომპანიის დასახელება იყო: Black Sea Alternative Energy Development Institute B.V.; 2008 წლის 16 ივლისს კომპანიამ შეიცვალა სახელი და მას შემდეგ ის მოიხსენიება როგორც Marine Resources Exploration International B.V.. ამავე დღეს ნიდერლანდებს სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრიდან გაკეთებული ამონაწერიდან ირკვევა, რომ კომპანიის ერთადერთი მეწილეა შვეიცარიაში რეგისტრირებული Rompetrol Holding S.A..

სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრიდან სხვადასხვა დროს გაკეთებული ამონაწერებიდან შესაძლებელია კომპანიების დირექტორების ვინაობის დადგენაც; კერძოდ:

- დან კოსტაჩე პატრიჩიუ (Dan Costache Patriciu) - კომპანიის დირექტორია მისი დაფუძნების დღიდან, 2008 წლის 23 იანვრიდან;
- მელანი ენ ჩენი (Melanie Anne Chen) - კომპანიის დირექტორია 2009 წლის 19 სექტემბრიდან (დან კოსტაჩე პატრიჩიუსთან ერთად);
- იოან დან პოპესკუ (Ioan Dan Popescu) - კომპანიის დირექტორია 2011 წლის 17 თებერვლიდან (ზემოთ ხსენებულ დირექტორებთან ერთად).

კომპანიის საქმიანობის სფეროდ დადგენილია: „საწვავის, მადნეულის, მეტალისა და ქიმიური ნივთიერებების გაყიდვაში მონაწილე აგენტები“; კომპანიის საქართველოს ფილიალის საქმიანობის სფეროდ კი, განისაზღვრა: ზღვაში და ხმელეთზე ნებისმიერი სახის ნავთობისა და გაზის დაზვერვა, მოპოვება, წარმოება, გამდიდრება, მზა და ნახევრადმზა პროდუქტების წარმოება, ამ პროდუქტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული ნებართვების, ლიცენზიებისა და კონცესიების მოპოვება, მათ შორის, საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ, ასევე, საერთაშორისო წყლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის პირველ ორ დირექტორს - დან კოსტაჩე პატრიჩიუს (დინუ პატრიჩიუს - როგორც მას მედიაში მოიხსენიებენ) და მელანი ენ ჩენს მჭიდრო კავშირები აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ კიდევ ერთ კომპანიასთან; ეს კომპანიაა სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი“.

2009 წლის სექტემბერში, სააქციო საზოგადოება ლიბერთი ბანკი შეისყიდა Liberty Capital-მა; Liberty Capital-ი კი, დინუ პატრიჩიუსა და საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ (ლადო) გურგენიძის მიერ დაფუძნებული ჰოლანდიური საინვესტიციო კომპანიის, Liberty Investments Holding B.V.-ის სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანიაა³¹. ლიბერთი ბანკის თანხმად, რუმინელი ბიზნესმენი დინუ პატრიჩიუ³²,

³¹ ალექსი ხოროშვილი, 2018 წ. 22 აგვისტო. *მეტამორფოზი!* Forbes Georgia. ხელმისაწვდომია: <https://forbes.ge/news/4596/metamorfozi>

³² დინუ პატრიჩიუმ, რუმინელმა მილიარდელმა და პოლიტიკოსმა, არაერთხელ მიიპყრო მედიის ყურადღება. 1998 წელს პატრიჩიუმ იყიდა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ნავთობ-კომპანია Rompetrol-ი, რომელიც მრავალნაციონალურ კომპანიად გარდაქმნა და მოგვიანებით, 2007-2009 წლებში, ყაზახეთის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანიას KazMunayGas-ს მიჰყიდა. 2008 წელს ის Forbes-მა რუმინეთის უმდიდრეს ადამიანად დაასახელა. დინუ პატრიჩიუ იყო რუმინეთის ლიბერალური

გარდაცვალების დღემდე (2014 წლის 19 აგვისტომდე) იყო ლიბერთი ბანკის ძირითადი აქციონერი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე³³.

დინუ პატრიჩიუს მსგავსად, Marine Resources Exploration International B.V.-ის მეორე დირექტორს - მელანი ენ ჩენს - ასევე აქვს კავშირები ლიბერთი ბანკთან. საჯარო რეესტრში დაცული ინფორმაციის თანახმად, ის სხვადასხვა წლებში იყო შპს ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 205286322) დირექტორი, ისევე როგორც საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე.

Marine Resources Exploration International B.V.-ის საქართველოს ფილიალის ყოფილ დირექტორს (2010-2013 წ.წ.) - გიორგი მელიქიძესაც - მჭიდრო კავშირი აქვს ლიბერთი ბანკთან. საჯარო რეესტრის თანახმად, გიორგი მელიქიძეს სხვადასხვა დროს ეკავა დირექტორის თანამდებობები ლიბერთი ბანკთან დაკავშირებულ კომპანიებში: ლიბერთი კაპიტალში, ლიბერთი სიქიურითიზში, გალთ ენდ თაგარტში, სმარტექსში.

Marine Resources Exploration International B.V.-ის საქართველოს ფილიალის ამჟამინდელი დირექტორის (ხელმძღვანელობს კომპანიის ფილიალს 2013 წლის მაისიდან) - ნიკოლოზ საყვარელიძის - კავშირები ლიბერთი ბანკთან არ იკვეთება, თუმცა, ჩანს მისი კავშირი საქართველოს სხვა ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ ლიდერთან და მილიარდერთან - ბიძინა ივანიშვილთან, და მის მიერ დაარსებულ კერძო საინვესტიციო ფონდთან - საქართველოს თანაინვესტირების ფონდთან (Georgian Co-Investment Fund)³⁴.

საჯარო რეესტრის თანახმად, Marine Resources Exploration International B.V.-ის საქართველოს ფილიალის გარდა, ნიკოლოზ საყვარელიძე ხელმძღვანელობს შპს მოვატ საქართველოს

პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და რუმინეთის პარლამენტის წევრი. 2006 წელს დინუ პატრიჩიუს დაადანაშაულეს 1999-2001 წლებში თაღლითობაში, ფულის გათეთრებასა და Rompetrol-ის სასარგებლოდ ბაზრებით უკანონოდ მანიპულირებაში. რამდენიმეწლიანი გამოძიების შემდეგ, 2012 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლომ ის და მისი სავარაუდო თანაზრახველები გაამართლა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში; სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის ოქტომბერში დინუ პატრიჩიუს მიმართ საქმის განხილვა შეწყვიტა, მისი გარდაცვალების გამო; საქმის სხვა მონაწილეებს კი, მათ შორის, Rompetrol Group Netherlands-ის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, სხვადასხვა სასჯელი მიესაჯათ (წყაროები: Independent <https://bit.ly/3aroCgZ>, Romanian National Press Agency AGERPRES <https://bit.ly/2WsotSe>, KazMunayGas International <https://bit.ly/3h4KeRE>)

³³ Liberty • ლიბერთი [@libertybank.ge · Bank]. 2014 წლის 19 აგვისტო. დიდი მწუხარებით გვინდა გაცნობოთ წარმატებული რუმინელი ბიზნესმენის და „ლიბერთი ბანკის“ ძირითადი აქციონერის, დინუ პატრიჩიუს გარდაცვალების შესახებ. დინუ პატრიჩიუს გუმინ გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. იგი 64 წლის იყო... [Facebook-ის სტატუსის განახლება]. მოძიებულია <https://bit.ly/38TdV4D>

³⁴ საინტერესოა, რომ Rompetrol-ის ამჟამინდელი მესაკუთრე, ყაზახური KazMunayGas-ი საქართველოს თანაინვესტირების ფონდის საქმიანობაშიც ფიგურირებს. ფონდის დაარსებისას, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო აკრიტიკებდა ბიძინა ივანიშვილის ამ ინიციატივას გამჭვირვალობისა და ანგარიშგების შექმნის არარსებობის გამო (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2013 წ. 25 ნოემბერი. [ახალი 6 მილიარდიანი თანაინვესტირების ფონდი: გამჭვირვალობა წარმატების საწინდარი იქნება](#)). საზოგადოებისთვის დღემდე ცნობილია ფონდის მხოლოდ ერთი მესაკუთრე - ბიძინა ივანიშვილი. ფონდის დაარსებისას, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო წერდა, რომ არაოფიციალური წყაროების თანახმად, ფონდის სხვა პარტნიორებს შორის არიან ყაზახური KazTransOil - KazMunayGas-ის შვილობილი კომპანია და ასევე, ყაზახეთის მოპოვებით მრეწველობაში ინვესტირებით გაძლიერებული მილიარდერი ალექსანდრე მაშკვიჩი, რომელიც 2011 წელს, ბელგიაში, ფულის გათეთრებისა და თაღლითობის გახმაურებულ საქმეში იყო ჩართული (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2014 წ. 29 მაისი. [თანაინვესტირების ფონდის პროექტები 2014 წლისთვის: საჭიროა მეტი გამჭვირვალობა](#)).

(საიდენტიფიკაციო კოდი: 204535173). შპს მოვატ საქართველოს 100%-იან წილს ფლობს შპს გალერია ჰოლდინგი (საიდენტიფიკაციო კოდი: 404541215), ამ უკანასკნელის 100%-იან წილს კი - შპს გალერია თბილისი (საიდენტიფიკაციო კოდი: 204558497). როგორც ცნობილია, თბილისის შუაგულში მდებარე სავაჭრო ცენტრი „გალერია თბილისი“ საქართველოს თანაინვესტირების ფონდის საკუთრებაა³⁵. 2019 წლის ბოლოს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი ყიდის ამ ქონებას³⁶; გაიყიდა, თუ არა „გალერია თბილისი“, ამ ეტაპზე, უცნობია.

3.3 საექვო თანხვედრები

როგორც წინა თავებიდან ჩანს, საქართველოს კონტინენტურ შელფზე მინერალური რესურსების მოპოვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - მისი ელემენტები, 2009 წელს, სულ სამ თვეში ჩამოყალიბდა. ასევე, სულ სამი თვე დასჭირდა კონტინენტურ შელფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებას. ორივე პროცესი წარიმართა სრულიად გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

იმისათვის, რათა ნათლად დავინახოთ კავშირები კანონმდებლობის ცვლილებისა და ლიცენზიის გაცემის პროცესებს შორის, ქვემოთ წარმოდგენილია ინფო-გრაფიკი. ინფო-გრაფიკის მარცხენა სვეტში მოცემულია საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ მიღებული ზომები საქართველოს კანონმდებლობის შესაცვლელად, შესაბამისი თარიღებით; მარჯვენა სვეტში კი, უფლებამოსილი ორგანოების მიერ უშუალოდ ლიცენზიის გასაცემად გატარებული ღონისძიებები, აქაც - შესაბამისი თარიღებით.


როგორც ინფო-გრაფიკიდან ჩანს, Marine Resources Exploration International B.V.-მ აუქციონის გამოცხადება შავი ზღვის ფსკერზე სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად 2008 წლის ივლისში მოითხოვა. კომპანიამ ეს მოთხოვნა დააყენა საქართველოს უახლესი ისტორიის მეტად რთულ პერიოდში. უნდა გავიხსენოთ, რომ 2008 წელი გამოირჩეოდა პოლიტიკური და სამოქალაქო კრიზისებით: 2007 წლის შემოდგომის პოლიტიკური კრიზისის საპასუხოდ, 2008 წლის იანვარში საქართველოში ჩატარდა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები; 2008 წლის მაისში - საპარლამენტო არჩევნები; 2008 წლის აგვისტოში განვითარდა რუსეთ-საქართველოს ომი, რომელშიც დაიღუპა და დაშავდა 2 500 კაცზე მეტი, 26 ათასამდე ადამიანი კი, დაკარგა საცხოვრებელი, ზიანი მიაღწა ინფრასტრუქტურას და ბუნებრივ გარემოს. ამავე, 2008 წელს, მარტში, სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილება ჩამოერთვა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (რომელსაც ეს უფლებამოსილება 12 წელი ჰქონდა) და გადაეცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. სწორედ ამ დროს - როდესაც ადმინისტრაციულ სტრუქტურებს უწევდათ კრიზისებზე რეაგირება და ლიცენზირების ახალ მოწყობასთან ადაპტაცია - მოითხოვა კომპანიამ კონტინენტურ შელფზე მინერალური რესურსების მოპოვების უფლების მინიჭება. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კომპანიის მოთხოვნის საპასუხოდ სახელმწიფო ორგანოებმა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ „მოიცაღეს“. სამაგიეროდ, როგორც კი „მოიცაღეს“, ყველამ

³⁵ საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, დაუთარიღებელი. [გალერია თბილისი](#).

³⁶ Business Media Georgia, 2019 წლის 26 დეკემბერი. ვიდეო: [ბიძინა ივანიშვილი "გალერია თბილისს" \\$130 მილიონად ყიდის](#).

ერთად - პარლამენტმა, პრეზიდენტმა, მთავრობამ და ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ - შეთანხმებულად, სულ სამ თვეში, მიიღეს გადაწყვეტილებები და გასცეს ლიცენზია.

ინფო-გრაფიკი. ზღვის ფსკერზე მინერალური რესურსების მოპოვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილებისა და საქართველოს კონტინენტურ შეღწეულ მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიის გაცემისთვის წარმოებული ადმინისტრაციული პროცედურების ქრონოლოგია



ინფო-გრაფიკზე კარგად ჩანს, თუ როგორ ხდებოდა, მოკლე დროში, პარალელურად, კანონმდებლობის ცვლილება - მორგება კონკრეტულ საჭიროებაზე და ლიცენზიის გასაცემად ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება. ამ სიჩქარეში, ჯერ მთავრობამ შემოიტანა ახალი ნორმები კანონქვემდებარე აქტში და შემდეგ პარლამენტმაც „დააწია“ შესაბამისი ცვლილებები სფეროს მარეგულირებელ კანონებში. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ლიცენზიის გასაცემად აუქციონი გამოაცხადა ისეთ ტერიტორიაზე, სადაც საქმიანობის განხორციელება დაუშვებელი იყო საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების გარეშე. ესეც მალე გამოსწორდა - პრეზიდენტმა „დააწია“ თავისი გადაწყვეტილება - გამოსცა განკარგულება სასაზღვრო ზოლში საქმიანობის დაშვების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიდგომა ინვესტიციებისა და მათი პროექტებისადმი ჩვეული პრაქტიკა იყო ენერგეტიკის სფეროშიც. 2013 წელს გამოცემულ ჩვენს პუბლიკაციაში „ენერგო-პროექტები და კორუფცია საქართველოში“³⁷ აღწერილია, თუ როგორ უქმნიდნენ განსაკუთრებულ გარემოს ჰიდროენერგეტიკული პროექტების განმახორციელებელ კომპანიებს, ამავე წლებში, სახელმწიფო ორგანოები.

დასასრულ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ლადო გურგენიძისა და კომპანია Marine Resources Exploration International B.V.-ის მესაკუთრის, აწ უკვე გარდაცვლილი რუმინელი მილიარდერის დინუ პატრიჩიუს ბიზნეს-პარტნიორობა და მათ შორის არსებული კავშირების შესაძლო ზეგავლენა სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ლადო გურგენიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა 2007 წლის 22 ნოემბრიდან 2008 წლის 27 ოქტომბრამდე. ლიცენზიის გასაცემად აუქციონის ჩატარება დინუ პატრიჩიუს კომპანიამ 2008 წლის ივლისში მოითხოვა; ანუ, მაშინ, როდესაც ლადო გურგენიძე ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე იყო. მართალია, ლიცენზიის გასაცემად წინა თავებში აღწერილი ღონისძიებები სახელმწიფო ორგანოებმა მაშინ გაატარეს, როდესაც ლადო გურგენიძე პრემიერ-მინისტრის თანამდებობას აღარ იკავებდა, მაგრამ ამ დროს ლადო გურგენიძესა და დინუ პატრიჩიუს უკვე ჰქონდათ ლიბერთი ბანკთან დაკავშირებული საერთო ბიზნეს-ინტერესები. შესაძლოა, მათ, ასევე, ჰქონოდათ სხვა, საზოგადოებისთვის უცნობი, ერთობლივი ბიზნეს-ინტერესებიც. ნებისმიერ შემთხვევაში, მოვლენათა ქრონოლოგია იძლევა საფუძველს, ვიეჭვოთ, რომ ლადო გურგენიძეს, მიუხედავად თანამდებობის დატოვებისა, შეეძლო ესარგებლა სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნისას დამყარებული კავშირებით დინუ პატრიჩიუს კომპანიის სასარგებლოდ ლობირებისთვის.

³⁷ ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე: <http://greenalt.org>

ბოლოსიტყვაობა

როგორც ამ ნაშრომის შესავალ ნაწილში აღინიშნა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ზღვის ფსკერზე, მთავრობის მიერ ერთი წლის წინ, 2019 წელის დეკემბერში დამტკიცებულ საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგიის პრიორიტეტებს შორის აღმოჩნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამას მოჰყვება ამ საქმეში ინვესტირებით დაინტერესებულთა გამოჩენაც.

მართალია, ნაშრომში განხილული მოვლენები 10 წელზე მეტი ხნის წინანდელ სიტუაციას აღწერს, მდგომარეობა საქართველოს წიაღის სექტორში თითქმის არ შეცვლილა. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში დღეისათვის ამ სფეროში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას, ნათელია, რომ გარემოზე (მათ შორის, შავ ზღვის გარემოზე), მოსახლეობასა და ეკონომიკაზე ზეგავლენასთან და კორუფციასთან დაკავშირებული რისკების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია საქართველოს როგორც წიაღის სექტორის მარეგულირებელი, ისე გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კანონმდებლობის გადახედვა. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ თავად გადახედვის პროცესიც წარიმართოს მაქსიმალური გამჭვირვალობით და საზოგადოების ფართო მონაწილეობით.

ბიბლიოგრაფია

გუჯარაიძე ქეთი, 2020 წ. აგვისტო. საქართველოში წიაღის სექტორის განვითარების დაგეგმვის ლაბორინტები. მწვანე ალტერნატივა. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3muNTKI>

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2013 წ. 25 ნოემბერი. [ახალი 6 მილიარდიანი თანაინვესტირების ფონდი: გამჭვირვალობა წარმატების საწინდარი იქნება](#)

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2014 წ. 29 მაისი. [თანაინვესტირების ფონდის პროექტები 2014 წლისთვის: საჭიროა მეტი გამჭვირვალობა](#).

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. ხელმისაწვდომია [„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“](#) ვებ-გვერდზე. სარეგისტრაციო კოდი: 380.050.000.10.003.000.270

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 9 დეკემბრის #2575 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგია“. ხელმისაწვდომია საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე: http://gov.ge/files/524_74604_339761_2575.pdf

საქართველოს 1998 წლის 17 ივლისის კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ ხელმისაწვდომია [„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“](#) ვებ-გვერდზე. სარეგისტრაციო კოდი: 010.040.000.05.001.000.406

საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“. ხელმისაწვდომია [„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“](#) ვებ-გვერდზე. სარეგისტრაციო კოდი: 240.090.000.05.001.003.721

საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ხელმისაწვდომია [„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“](#) ვებ-გვერდზე. სარეგისტრაციო კოდი: 010.260.000.05.001.003.722

საქართველოს პარლამენტი. 2009 წ. 9 ოქტომბერი. კანონპროექტი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“. საკანონმდებლო აქტების პროექტების პაკეტი #7-03/182/7. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/9504>

საქართველოს პარლამენტი. 2009 წლის 30 სექტემბერი. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო აქტის პროექტი #7-03/182/7 ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/9560>

წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2019 წლის 28 ოქტომბრის #22/534 წერილი მწვანე ალტერნატივას

წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2019 წლის 3 დეკემბრის #22/595 წერილი მწვანე ალტერნატივას

ხოროშვილი ალექსი. 2018 წ. 22 აგვისტო. *მეტამორფოზი!* Forbes Georgia. ხელმისაწვდომია: <https://forbes.ge/news/4596/metamorfozi>

Business Media Georgia, 2019 წლის 26 დეკემბერი. ვიდეო: [ბიძინა ივანიშვილი “გალერია თბილისს” \\$130 მილიონად ყიდის.](#)

Liberty•ლიბერთი [@libertybank.ge · Bank]. 2014 წლის 19 აგვისტო. დიდი მწუხარებით გვინდა გაცნობოთ წარმატებული რუმინელი ბიზნესმენის და „ლიბერთი ბანკის“ ძირითადი აქციონერის, დინუ პატრიჩიუს გარდაცვალების შესახებ. დინუ პატრიჩიუ გუშინ გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. იგი 64 წლის იყო... [Facebook-ის სტატუსის განახლება]. მოძიებულია <https://bit.ly/38TdV4D>

Casson L., 2019. *In deep water: The emerging threat of deep sea mining*. Other contributors: Losada S., Tsenikli S, Santillo D., Currie D., Sharma G. and McCallum W. Greenpeace International, 2019. ხელმისაწვდომია: <https://www.greenpeace.org/international/publication/22578/deep-sea-mining-in-deep-water/>

Ecorys, 2014. *Study to investigate the state of knowledge of deep-sea mining: Final Report under FWC MARE/2012/06 – SC E1/2013/04*. Other contributors: MRAG Ltd, GRID Arendal, GEOMAR, TU Delft, Seascope Consultants Ltd, Deep Seas Environmental Solutions Ltd. & the National Oceanography Centre in Southampton. European Commission - DG Maritime Affairs and Fisheries. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mT8E1V>

European Parliament resolution of 16 January 2018 on international ocean governance: an agenda for the future of our oceans in the context of the 2030 SDGs (2017/2055(INI)) ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2018-0004_EN.pdf?redirect

International Resource Panel (IRP), 2020. *Mineral resource governance in the 21st Century: Gearing extractive industries towards sustainable development*. United Nations Environment Programme, UNEP. ხელმისაწვდომია: <https://www.resourcepanel.org/reports/mineral-resource-governance-21st-century>

The MIDAS Consortium, 2019. *Implications of MIDAS results for policy makers: Recommendations for future regulations*. MIDAS project (Managing Impacts of Deep Sea Resource Exploitation). www.eu-midas.net